ახალი ხარაგაული

№328 (20), 17 აგვისტო, 2016 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას პაატა გოგოლაძე ასრულებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, თანამდებობიდან გადადგა. მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება, მისი „ქართული ოცნების“ პარტიიდან, ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებამ განაპირობა.

ამჟამად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას გამგებლის პირველი მოადგილე, პაატა გოგოლაძე, ასრულებს.

პაატა გოგოლაძე 1968 წლის 23 სექტემბერს ხარაგაულში დაიბადა. 1985 წელს დაამთავრა დაბის N2 საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა ქ. თბილისში, კალინინის სახელობის ლითონის გადამამუშავებელ ქარხნის საგეგმო განყოფილებაში ინჟინერ-ნორმადარად. 1992 წელს, ნოდარ ვეფხვაძის დეპუტატად ყოფნის პერიოდში, მუშაობდა ხარაგაულში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის სპეციალისტად. ასევე მუშაობდა ხარაგაულის საგადასახადო ინსპექციაში, კონტროლის განყოფილებაში. 1998 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან“, გახდა საკრებულოს წევრი და ხელმძღვანელობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. 2002-2007 წწ. იყო შპს „საქართველოს ფოსტის“ ხარაგაულის ფილიალის უფროსი. 2011-2012 წწ. მუშაობდა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორად. 2013 წლიდან დღემდე იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თანამდებობა დატოვა

10 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ განცხადება განიხილეს და 11 აგვისტოს საკრებულოს დღის წესრიგში შეიტანეს. უმრავლესობის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, განვლილი საქმიანობა.

საკუთარი პოზიცია გამოხატა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, და კობა ლურსმანაშვილის გამგებლობის პერიოდში გაწეული საქმიანობა რამდენიმე სიტყვით მიმოიხილა: „42 თვის განმავლობაში გახლდათ კობა ლურსმანაშვილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი. მან საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. განახორციელა მრავალი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტი. ვფიქრობ, დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს საპარლამენტო არჩევნებში. რა თქმა უნდა, იყო ხარვეზებიც, თუმცა ეს გამოწვეული იყო რესურსის ნაკლებობით. მინდა, ბატონ კობას მადლობა გადავუხადო დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისთვის და წარმატებები ვუსურვო მომავალ საქმიანობაში. “

11 აგვისტოს გამართულ რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განცხადება ცნობად მიიღეს. კობა ლურსმანაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება 8 აგვისტოს დაწერა. მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება, მისი „ქართული ოცნების“ პარტიიდან, ხარაგაული—ბაღდათის მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებამ განაპირობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში კანდიდატად წარდგენა იწვევს გამგებლის უფლებამოსილების შეჩერებას. კოდექსის მიხედვით, თუ გამგებელს ვადა ერთი წლით ადრე შეუწყდა, უნდა დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, სავარაუდოდ, ისიც საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ოქტომბერში გაიმართება.

მარიანა ბურჯალიანი

მარელისში ცენტრალურ გზაზე ასფალტი დაიგო

სოფელ მარელისის ცენტრალური გზის მოასფალტება დასრულდა. მარელისის რკინიგზის სადგურიდან სოფლის ცენტრამდე 4 კმ-იანი გზა დაიგო. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1 091 438 ლარით დაფინანსდა. რეაბილიტირებული გზა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გოგოლაძემ, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა მალხაზ ფხალაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2015 წლის დეკემბერში დაიწყო და 4 კმ-იანი გზის სიგანე 4,5 მეტრია. პროექტის ფარგლებში მოეწყო ზედაპირული წყლების მოცილების ქსელი, წყალგამტარი მილები, რკინა-ბეტონის ღარები და გრუნტის პროფილირებული არხები. გარდა ამისა, განხორციელდა გზის უსაფრთხოების სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 60 ადამიანი იყო დასაქმებული და იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით შესრულდა. გზაზე ასფალტის ორი ფენა დაიგო. პირველი ქვედა ფენა ხუთი, მეორე შუა ფენა კი 4 სანტიმეტრია.

„მარელისის გზის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. გზა გაკეთდა საკმაოდ ხარისხიანად და მოსახლეობა კმაყოფილია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ლეღვნის გზის რეაბილიტაციაც. პროექტი მზადდება და ვეცდებით, მოვიძიოთ დონორი ორგანიზაცია, რათა ეს გზაც კეთილმოეწყოს,“ - განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, პაატა გოგოლაძე, მადლობას უხდის რეგიონული განვითარების ფონდს ხარაგაულში ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის.

„ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია სოფლებში გზების რეაბილიტირება. ჩვენ ეტაპობრივად მივყვებით და მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა სოფელი ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მოწესრიგებული იყოს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ისეთ სოფლებში მოასფალტდა გზები, სადაც არასოდეს ყოფილა. მარელისის გზას ორმაგი დატვირთვა აქვს. გარდა იმისა, რომ ამ გზით სოფელი ისარგებლებს, ასევე ისარგებლებენ ტურისტები, რომლებიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკში აქედან შედიან. ვფიქრობ, რომ მარელისლებს ეს გზა ბევრ სიკეთეს მოუტანს,“ - დასძინა პაატა გოგოლაძემ.

„73 წლის ვარ და კეთილმოწყობილი გზა მარელისში არ მახსოვს. არ მეგონა, ამ დღეს თუ მოვესწრებოდი. ძალიან მიხარია, ახალგაზრდებს აქ ცხოვრების სურვილი გაუჩნდებათ და სოფელი აღარ დაიცლება,“- აცხადებს ომარ მაღრაძე.

ნაილი მაღრაძის თქმით, ეკონომიური პირობების გაუმჯობესების მიზნით სოფლისათვის ამ გზის რეაბილიტირება მეტად მნიშვნელოვანი იყო.

„გზა საჭიროა იმისთვის, რომ განვითარდეს ტურიზმი და მოსახლეობას ადვილად შეეძლოს გადაადგილება. რაც ბევრი ტურისტი შემოვა სოფელში, ოჯახებს დამატებითი შემოსავლები გაუჩნდებათ. მართლაც სასიხარულო ფაქტია და მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში წვლილი შეიტანა“, - განაცხადა ქალბატონმა ნაილიმ.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში ,თუ გზაზე რაიმე დეფექტი აღმოჩნდა, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, იგი თავისი ხარჯებით გამოასწოროს.

ეკა შავიაძე

ხარაგაული-ძირულა-ფონის გზის საპროექტო სამუშაობისათვის ტენდერი გამოცხადდა

ჩუმათელეთი-ფონა-წიფა-მოლითი-ხარაგაული-ძირულის გზის 50 კმ. მონაკვეთის რეაბლიტაციის მიზნით, აზიის განვითარების ფონდმა საკონსულტაციო, საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო შესყიდვისათვის ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო თანხა 2 მილიონ 0371 ათას 900 დოლარს შეადგენს. ეს ხარაგაულისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტი გახლავთ, რომლის საბოლოო ღირებულება 100 მილიონზე მეტი იქნება.

დიდვაკეში გზის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დიდვაკეში გზის რეაბილიტაციას იწყებს. აღნიშნული მონაკვეთი ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პროექტის ფარგლებში მოასფალტდება.

სამუშაოების შესასყიდად ტენდერი 11 აგვისტოს გამოცხადდა და 2 სექტემბერს დასრულდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვეში დაამთავრებს. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა გაბიონები, სანიაღვრე არხები და გატარდება უსაფრთხოების საჭირო ზომები.

აღნიშნული პროექტი აზიის ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 997,791 ლარს შეადგენს.

ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნულ გზაზე გადაადგილების პრობლემა წლებია, აწუხებს. არსებულ საავტომობილო გზაზე არასდროს ყოფილა ასფალტის საფარი. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

ბიუროს სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

15 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ვრცლად ისაუბრა იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ქალბატონი ნანას ინფორმაციით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 4 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა მოქმედებს. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სოციალურ მიმართულებაზე, 10 აგვისტოს მდგომარეობით, 373.3 ათასი ლარი დაიხარჯა და სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 1724 ბენეფიციარს.

ეს პროგრამებია: სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების პროგრამა; ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა; სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების გარდაცვლილ წევრთა დაკრძალვის პროგრამა; სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარების პროგრამა.

გარდა გამგეობიდან დაფინანსებული პროგრამებისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც ემსახურება 70 ბენეფიციარს. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები.

ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრისთვის შეძენილია 6 600 ლარის ღირებულების ინვენტარი.

ნანა კიკნაძის განცხადებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 14 სასოფლო ამბულატორია, 18 ექიმი და 19 ექთანი.

მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სოციალურ პროგრამაში ჩართულები არიან დევნილები; ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, გამონაკლისის სახით, ხდება უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახების დახმარება საშეშე მასალით.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილი, დაინტერესდა, რამდენად შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას დახმარება გაუწიოს მოსახლეობას სოციალური დახმარების დანიშვნისას, მან ასევე იკითხა, რატომ გვიანდება შემოსული განცხადებების კომისიაზე განხილვა.

ქალბატონმა ნანამ განმარტა, რომ ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობა იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრში ინტენსიურად აგზავნის იმ მოქალაქეების შუამდგომლობებს, რომლებიც სოციალური აგენტის მიერ ხელახალ გადამოწმებას ითხოვენ. სხვა სახის დახმარება ამ კუთხით ადგილობრივ თვითმმართველობას არ შეუძლია. რაც შეეხება სხვადასხვა სახის დახმარებებზე შემოსული განცხადებებს, სოციალური და ჯანდაცვის კომისია თვეში ერთხელ იკრიბება და განცხადებების დაკმაყოფილებაც ეტაპობრივად ხდება.

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ გელაშვილის, განცხადებით, საკრებულომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება ისეთი ბენეფიციარების განცხადებების მიღება, რომელთაც გადაუდებლად სჭირდებათ დახმარება.

„ვერც ერთი ბიუჯეტი ვერ ეყოფა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას“ - განაცხადა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, სოციალურ სამსახურს ეფექტური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უმჯობესია, მოიძებნოს გზები და დაკმაყოფილდეს ყველა მოქალაქის განცხადება.

ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ანგარიშს დეპუტატები 5 სექტემბერს საკრებულოს სხდომაზე შეაფასებენ.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულში აგვისტოს ომში დაღუპულ გმირს, ზაზა გლუნჩაძეს, პატივი მიაგეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, ხიდრის დეპუტატმა, ნონა ზურაბიანმა და ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა, ბადრი ბერაძემ, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძის, ხსოვნას პატივი მიაგეს. სოფელ ხიდარში ზაზა გლუნჩაძის საფლავთან, ასევე დაღუპულის ოჯახის წევრები და თანასოფლელები შეიკრიბნენ.

„თითოეული ჩვენგანის ვალია, არ დავივიწყოთ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს. ვამაყობთ, რომ გვყავს გმირები, რომლებიც საქართველოს უახლეს ისტორიას ქმნიან. კარგია, რომ ზაზა გლუნჩაძის სიცოცხლე მის შვილებში გრძელდება. ვისურვებდი საქართველოს ასეთი ტკივილიანი დღეები აღარასოდეს ენახოს,“- აღნიშნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან დაღუპული გმირის ოჯახს ერთჯერადი ფულადი დახმარება გადაეცა.

„ვამაყობ, როდესაც გმირი მამის საფლავზე მოვდივართ. მამა აგვისტოს ომში სხვა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის დროს, ჭურვის აფეთქებისას, გარდაიცვალა,“ - განაცხადა დაღუპულის შვილმა მარიამ გლუნჩაძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის მკვიდრი, ზაზა გლუნჩაძე, 2008 წლის 8 აგვიტოს ცხინვალში თანამებრძოლთა გადარჩენის მცდელობის დროს დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ ზაზა გლუნჩაძე ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ზვარის ბანაკის რეაბილიტაცია იგეგმება

უკვე მეოთხე წელია, „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით სოფელ ზვარეში „კარვების ბანაკი“ იმართება. ყოველი წლის აგვისტოს დასაწყისში „კარვების ბანაკში“ 300-მდე ახალგაზრდა ისვენებს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს პროექტ „ეტალონის“ დამფუძნებლის, გოჩა ტყეშელაშვილის, ინიციატივით, ზვარეში ხარაგაულელ ახალგაზრდებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პროექტ „ეტალონში“ გამარჯვებულმა 80-მდე ახალგაზრდამ დაისვენა. „კარვების ბანაკს” სტუმრობდა თავად გოჩა ტყეშელაშვილი.

მიმდინარე წელს ზვარემ “მშვიდობის კორპუს” Life camp—ს უმასპინძლა. „კარვების ბანაკში“ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 45-მა ახალგაზრდამ დაისვენა. ბანაკს ათი ლიდერი ჰყავდა, მათგან რვა “მშვიდობის კორპუსის” ამერიკელი მოხალისეა. “მშვიდობის კორპუსის” ბანაკი ზვარეში 5 აგვისტოს დასრულდა. ამის შემდეგ „კარვების ბანაკს“ ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებიც შეუერთდნენ.

6 აგვისტოს ზვარის ბანაკს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი და გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე სტუმრობდნენ. ზვარეში სტუმრობისას მუნიციპალიტეტის გამგებელმა მეტად მნიშვნელოვანი და ყველასათვის სასიხარულო ინფორმაცია გააჟღერა. მისივე განმარტებით, ზვარის ბანაკის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

„ჩვენი მიზანია, ბანაკი კეთილმოეწყოს და აქ სრულფასოვანი დასვენება შეიძლებოდეს, როგორც ეს წლების წინ იყო. მოვამზადეთ პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და რეგიონული განვითარების ფონდში წარვადგინეთ. სამწუხაროდ, წლის დასაწყისში ამ პროექტის დაფინანსება ვერ მოხერხდა, თუმცა ინფრასტრუქტურის სამინისტროში მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ბანაკს რეაბილიტაცია აუცილებლად ჩაუტარდება. არის საუბარი, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტენდერებიდან რა თანხაც დაიზოგება, ამ პროექტზე მიიმართოს. თუ ეს ვერ მოხერხდა, განიხილება მეორე ვარიანტი, რაც 2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხაში „ზვარის ბანაკის“ რეაბილიტაციის შესვლას გულისხმობს. აღნიშნული პროექტის ღირებულება, ინვენტარის ჩათვლით, 800 000 ლარია.“ - განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

კობა ლურსმანაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ზვარის ბანაკის ფუნქციონირება ადგილობრივ მაცხოვრებლებს ბევრ სიკეთეს შეჰმატებს და სოფელს ეკონომიურად გააძლიერებს.

„ეს არ იქნება მხოლოდ ახალგაზრდული ცენტრი. სოფელში ტურისტული პოტენციალი გაჩნდება, რაც აქ მცხოვრებლებს შესაძლებლობას მისცემს, დამატებითი შემოსავლები მიიღონ და ეკონომიური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. აქვეა შესანიშნავი ბუნებით კურორტი „ნუნისი“და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი, რაც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამიტომ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ხარაგაულს, რაც შეიძლება, მეტი ტურისტი სტუმრობდეს.“

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ,,კარვების ბანაკის“ ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა გამგებლის მრჩეველს ტურიზმის საკითხებში მამუკა ჭიპაშვილს, ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორს, ბერიკა თურმანიძეს, დირექტორის მოადგილეს, ნინო თხელიძეს, და ,,ტურიზმის ცენტრის“ ყველა თანამშრომელს.

„ეს ადამიანები ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ,,ტურიზმის სამსახური“ ხარაგაულში აქტიურად მუშაობს. მადლობა მინდა, გადავუხადო თითოეულ მათგანს. ასვე დიდი მადლობა ამერიკული ორგანიზაციის „მშვიდობის კორპუსის“ ამერიკელ მოხალისეებს, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ზვარის ბანაკში. ამერიკელებმა აღიარეს ამ ადგილის უნიკალურობა, მოიხიბლნენ მისი სიმყუდროვით, სილამაზითა და საოცარი ხედებით. მათ გააჩნიათ სამომავლო ხედვები ხარაგაულთან მიმართებაში.“

გამგებლის მრჩევლის ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილის, თქმით, ბანაკში ძირითადად, წარჩინებული და სათავგადასავლო ტურ-თამაშებში გამარჯვებული მოსწავლეები ისვენებენ. რაც შეეხება აქ მოხვედრას, მამუკა ჭიპაშვილის განმარტებით, ბავშვები საგანმანათლებლო რესურსცენტრების დახმარებით შეირჩნენ და ყველა თვითმმართველი ერთეულიდან მოსწავლეების თანაბარი რაოდენობაა წარმოდგენილი.



თამარ ხორავა (ბაღდათის მუნიციპალიტეტი): „ძალიან მომწონს ზვარის ბანაკი, კარგი ბუნებაა. ბევრ სახალისო აქტივობაში ჩავერთე და ახალი მეგობრები შევიძინე. თუკი მომეცემა შანსი, მომავალ წელს აქ კიდევ დავისვენო, უარს ნამდვილად არ ვიტყვი და დიდი სიამოვნებით ვესტუმრები ზვარეს“.

ზაური სამხარაძე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი): პირველად ვარ ზვარის ბანაკში და ძალიან მომეწონა. ვაწყობთ სხვადასხვა სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს. გადავიღეთ ფილმი, რაც ძალიან საინტერესო პროცესი იყო. მინდა, მადლობა გადავუხადო ორგანიზატორებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მომცა შესაძლებლობა აქ, ზვარეში, დამესვენა“.

ეკა შავიძე

ეს ერთი და სხვა მრავალი!..

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ (ხელმძღვანელები: ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები), რომლის ერთ-ერთი წევრიც გახლავართ, ბულგარეთში, ნესებირში, 22 — 24 ივლისს საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს.

დაბრუნების შემდეგ შემომთავაზეს, მკითხველთათვის ჩემი შთაბეჭდილებები გამეზიარებინა...

ვწერ და გიორგი ერისთავის კომედია „გაყრის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ანდუყაფარ დიდებულიძე, მაგონდება უმცროს ძმას, რუსეთში სწავლამიღებულ ივანეს, რომ საყვედურობს. ბოლოს კი დაასკვნის: „საკვირველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ არ გავგიჟებულვარ...“

ჩვენ, ხარაგაულელები, მოზდოკზე ცოტა შორს, ბულგარეთში, ნესებირში, ვიყავით და „არ გავგიჟებულვართ.“ თუმც „გასაგიჟებელი“ ნამდვილად გვქონდა: აბა, წარმოიდგინეთ, ამხელა საერთაშორისო ფესტივალზე, ამდენ ანსამბლში რომ გამოგარჩევენ და „გრან პრის“ მოგცემენ, გასაგიჟებელია, აბა რა არის? ნესებირის ულამაზეს ქუჩებში, საზეიმო მსვლელობისას, ქართული ხუთჯვრიანი დროშა რომ გიჭირავს ხელში ამაყად, ამ სიხარულს რამე შეედრება?

...ფესტივალზე გამგზავრებამდე, წინასწარ, საგანგებოდ მოვიძიე ინფორმაციები ბულგარეთის შესახებ წიგნებიდან, ინტერნეტიდან. ასე რომ, საკმაოდ „შეიარაღებული“ გავეშურე ამ მშვენიერი ქვეყნისაკენ...

ყველა ჩვენგანი მაინც რაღაც განსაკუთრებულ მშობლიურს განვიცდიდით. თუნდაც იმით, რომ შავი ზღვა ჩვენიცაა და ბულგარელებისაც. ის ისევე ალამაზებს ბულგარეთის სანაპიროს, როგორც ჩვენს საქართველოს ზღვისპირა დასავლეთს. დავყურებ ბულგარეთის რუკას: ალბენა, ვარნა, მზის სანაპირო, აქელოი, ბიალა, ელენიტე, ნესებირი აი ბულგარეთის ცნობილ კურორტთა ჩამონათვალი, მაგრამ ვიცი, რაც არ უნდა ლამაზი იყოს, ჩემს ბათუმს, მწვანე კონცხს, ქობულეთს, ურეკს, ანაკლიას მაინც ვერაფრით ვერ შეედრება ვერც ერთი...

საქართველოდან ფესტივალში ოთხი ანსამბლი მონაწილეობდა: ორი თბილისიდან, ერთი გორიდან და ერთიც ჩვენ ვიყავით ხარაგაულიდან მაგარი ანსამბლის „მაგარი“ წევრები - „უბისლები!..“ ორ კონცერტზე გამოვედით. პირველ დღეს ღია ესტრადაზე მაყურებელს „ქალ-ვაჟთა მთიულური“ და „ყაზბეგური“ ვუჩვენეთ. კიდევ კარგი, ღია ესტრადაზე გამოვდიოდით და ჭერმა როგორც იქნა „გაუძლო“ მაყურებელთა აპლოდისმენტებს...

ძალზე საინტერესო და ამაღელვებელი იყო ფესტივალის დახურვის დღე. დასკვნითი კონცერტი ხარაგაულელების „ქალ-ვაჟთა მთიულურით“ გაიხსნა. (საფესტივალო პროგრამა წინასწარ იყო განსაზღვრული. პირველ კონცერტზე თითოეულ ანსამბლს ორი ცეკვა უნდა ეჩვენებინა, დასკვნით კონცერტზე - ერთი).

წარმოუდგენელია ის აღფრთოვანება, ის უკიდეგანო სიხარული, როცა ჟიურიმ გამოაცხადა, რომ ხარაგაულის ანსამბლი „უბისი“ ფესტივალის უმაღლესი ჯილდოს - „გრან პრის“ მფლობელი გახდა. ჩვენს ხელმძღვანელებს დიდი პატივით გადასცეს პრიზი და დიპლომები.

ამ დიდ სიხარულს ერწყმოდა ის დიდი სიამოვნება, რაც იმ დღეებში ბულგარეთის მშვენიერ სანაპიროზე ყოფნით განვიცადეთ. ახალი ნესებირი თავისი კლიმატითა და სამკურნალო საშუალებებით მსოფლიოში ცნობილი კურორტია. აქ ჩასული დამსვენებელი, საჭიროებისამებრ, გადის კლიმატოთერაპიის კურსს, იღებს მზის აბაზანებს. ეფექტურია ტალახითა და ყურძნით მკურნალობა. პანსიონატები, სანატორიუმები და სამოცდაათზე მეტი სასტუმრო პრაქტიკულად განლაგებულია კურორტის გარშემო არსებულ მწვანე ზონაში. რა დაგვავიწყებს „ოქროს ქვიშებს“ (ზლატნი - პიასიცი). გული ვიჯერე, ბულგარული ოქროს ქვიშა იმ რაოდენობით წამოვიღე, რომ მას ჩემს კლასელებს, პედაგოგებსა და ჩემთვის საყვარელ ყველა ადამიანს გავუნაწილებ...

წარუშლელი კვალი დაგვიტოვა ძველი ნესებირის დათვალიერებამ. იგი 1956 წლიდან ქალაქ- მუზეუმია და იცავს იუნესკო. როგორც ცნობილია, ქალაქი ბერძნებს დაუარსებიათ, დაახლოებით, ძვ.წ. 510 წელს. ადრინდელი ბიზანტიის ხანაში ის იყო მნიშვნელოვანი ეკონომიური, სამხედრო - ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი.

1371 წელს ქალაქი დაიპყრეს ოსმალოებმა და მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბულგარეთთან ერთად გათავისუფლდა მათი ბატონობისაგან. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანტიკური ხანიდან შემორჩენილმა ქალაქის გალავნის, იოანე ნათლისმცემლის, მიქელ - გაბრიელის ეკლესიების, თეატრისა და სხვა უძველესი შენობების ნაშთებმა.

წარმატებულები და გახარებულები დავემშვიდობეთ ულამაზეს სასტუმრო Delta Palac -ის კომფორტულ გარემოს და საბოლოოდ „შავი ზღვის მარგალიტს“ - ულამაზეს ნესებირს.

ჩვენი გამგზავრებისას იყო გარკვეული შიში მშობლებისაგან, წინა დღეებში თურქეთში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო, მაგრამ მათი ხემძღვანელების გონივრული ჩარევით ყველაფერი მოკლე დროში დარეგულირდა და ჩვენ დაუბრკოლებლად გადავლახეთ და გადმოვლახეთ თურქეთის უზარმაზარი ტერიტორია.

გზა, მართალია, იყო მომქანცველი, მაგრამ კომფორტული ავტობუსი, მისი ნაცადი მესაჭეები, ჩვენი თბილი ხელმძღვანელები ამ გრძნობას გვიმსუბუქებდნენ...

ანსამბლის ყველა წევრის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო „უბისის“ ქორეოგრაფებს: ქალბატონ ელისო და ბატონ ზაზა ლურსმანაშვილებს, ადგილობრივ თვითმმართველობას თანადაფინანსებისათვის, ჩვენს მშობლებსა და ახლობლებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეგვიწყო გამგზავრებაში და დღეს იზიარებს ჩვენი წარმატებით გამოწვეულ სიხარულს.

ეს ერთი და სხვა მრავალი, ძვირფასო „უბისლებო!..“

ამანდა ხვედელიძე,
ანსამბლ „უბისის“ წევრი,
ფესტივალის მონაწილე

ზვარეში „კარვების ბანაკი“ დასრულდა

13 აგვისტოს ზვარის „კარვების ბანაკი“ საზეიმოდ დაიხურა. საზეიმო ცერემონიალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, პაატა გოგოლაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დირექტორი, იზა ვეფხვაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს ზვარის ბანაკს, იზა ვეფხვაძის ინიციატივით, ქართველი ებრაელი არქიტექტორი პაატა იოსებაშვილი, მისი მეუღლე ლოლა იოსეფი, აკადემიკოსი იცხაკ დავიდი და მაია ჯანანაშვილი სტუმრობდნენ.

სტუმრები აღფრთოვანებას და ემოციას ვერ მალავდნენ, მოიხიბლნენ ახალგაზრდების ნიჭიერებით, მათ მიერ შესრულებული საკონცერტო ნომრებით. საზეიმო დახურვის ცერემონიალზე სტუმრების პატივსაცემად ჟღერდა ებრაული მელოდიები და საერთო მხიარულებაში ახალგაზრდებთან ერთად სტუმრებიც ჩაერთნენ.

„ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ერთად, ასეთი მაღალი დონის ორგანიზება, ამდენი ემოცია, სიყვარული, დადებითი განწყობა... ჩემი ბავშვობა გამახსენდა საქართველოში, ვიცეკვე კიდეც ებრაული მელოდიის ფონზე, მადლობა ქალბატონ იზას და ბატონ პაატას, რომ ამ ლამაზი ზეიმის მონაწილე გამხადეს,“ - აღიშნა პაატა იოსებაშვილმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გოგოლაძემ, ზვარეში გატარებული ბავშვობის წლები გაიხსენა და აღნიშნა, რომ მომავალი თაობები სწორედ აქ, ამ ბანაკში, ატარებდნენ ბედნიერ დღეებს, იძენდნენ მეგობრებს და სწავლობდნენ ურთიერთობებს. ბატონმა პაატამ მადლობა გადაუხადა ბანაკის ორგანიზატორებს იმ ლამაზი დღეებისთვის, რომლებიც მათ ასობით ბავშვს აჩუქეს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით ბანაკის აქტიური მონაწილეები იზა ვეფხვაძის წიგნით — „ხარაგაული“ დაჯილდოვდნენ.

ზვარის ბანაკის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ისაუბრა ხარაგაულის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ზვარეში ახალგაზრდული ცენტრი მოეწყოს. ვარლამ ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა ასევე თოთოეულ ახალგაზრდას ბანაკში აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობისათვის.

იზა ვეფხვაძის თქმით, ზვარის ბანაკი ყველაზე ორიგინალური და გამორჩეულია მთელს იმერეთში.

- „ზვარე ნამდვილი ბედნიერების სამყაროა. ჩემი სტუმრები მოიხიბლნენ ამ საოცარი ბუნებით, ახალგაზრდების ნიჭიერებით, იმ გარემოთი და მაღალორგანიზებით, რაც აქ სუფევს. ვფიქრობ, ბანაკი ყველაზე ორიგინალურია მთელს იმერეთში. ამაში კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებაა. უკვე წლებია, დიდ შრომას დებს ამ საქმეში მამუკა ჭიპაშვილი და „ტურიზმის სამსახური,“ - აღნიშნა იზა ვეფხვაძემ.

წარმოუდგენლად ლამაზი აკორდით დასრულდა საღამო, ცას სწვდებოდა უზარმაზარი კოცონის ალი და მის გარშემო ბედნიერი ახალგაზრდების სასიამოვნო ჟრიამული.

პირველად წელს ღონისძიებაზე მონაწილეებმა ფლეშმობი წარმოადგინეს და მწვანედ შეფენილ მოლზე ორიგინალურად დააწერეს „ზვარე“ ...

ეკა შავიძე

მე თქვენი იმედი მაქვს!..

ეს ფოტოები იმ შთამბეჭდავი ღონისძიების გაგრძელებაა, რომელიც ქალბატონ იზა ვეფხვაძის ინიციატივითა და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ, მერი გიორგიძის, ძალისხმევით მოეწყო ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლაში. მოწვეული სტუმარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი ელგუჯა თავბერიძე, ძალზე ნასიამოვნები დარჩა ამ შეხვედრით და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მეექვსეკლასელი წარჩინებული მოსწავლის, გურამ ლურსმანაშვილის, ძალზე ორიგინალურ შეკითხვებს. ამ მომენტიდან მწერალი დაუმეგობრდა გურამს, უსახსოვრა საკუთარი წიგნები საუკეთესო სურვილებით. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემოეხმიანა გურამს ქუთაისიდან უფროსი მეგობარი და საჩუქრებიც გამოუგზავნა. ასეთი ყურადღებისათვის მწერლის მიმართ დიდ მადლიერებას გამოხატავს გურამის დედა, მესამე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი ნანა კვინიკაძე:

-დიდი მადლობა, ბატონო ელგუჯა, ესოდენ დიდი გულისხმიერებისათვის. ეს გურამისთვის დიდი სტიმულია. ის ცდილობს, იყოს ისეთი, როგორიც თქვენს ავტოგრაფებშია მითითებული. აქვე მინდა, მივმართო ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებს:

-ჩემო ძვირფასებო, დღეს გურამს გაუმართლა, ხვალ თქვენც გაგიმართლებთ, რადგან თქვენი სკოლა უამრავ ამგვარ ღონისძიება - შეხვედრებს გპირდებათ, მე თქვენი იმედი მაქვს!

ვუერთდებით ქალბატონ ნანას მადლიერებასა და კეთილ სურვილებს და მოსწავლე - ახალგაზრდობას ვუსურვებთ, თავიანთი სწავლითა და ქცევით შეიძინონ ისეთი უფროსი მეგობრები, როგორიც გურამმა შეიძინა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი ინტერესი, რათა გაიზარდონ კარგ ქართველებად, საამაყო მამულიშვილებად.

ეკა შავიძე

პროექტით „აბრეშუმი ხარაგაულიდან“ ჩინური კომპანია დაინტერესდა

სოფელ ლახუნდარაში მცხოვრებ გია დევდარიანის ოჯახს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი სოფლის მეურნეობის საკითხებში, მურმან არჯევანიძე და კომპანიის „ჰუალინგი საქართველოში“ ვიცე-პრეზიდენტი სიუ იენ ლინი ესტუმრნენ. გია დევდარიანი და ამირან სამხარაძე თავიანთ ოჯახებთან ერთად პროექტში „აბრეშუმი ხარაგაულიდან“ არიან ჩართული. გასულ თვეში, პროექტის ფარგლებში მათ 40 გრამი აბრეშუმის გრენი გადაეცათ.

კომპანია „ჰუალინგი“ ჩინეთში სხვადასხვა კერძო ბიზნესებთან ერთად აბრეშუმის წარმოებითაა დაკავებული. როგორც მურმან არჯევანიძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ისინი ქუთაისში აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის აშენებით არიან დაინტერესებული. „ჰუალინგი“ ასევე აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესმენ ჯიმშერ ჩხაიძესთან, რომელიც ღვინის წარმოებასთან ერთად მეაბრეშუმეობითაა დაინტერესებული.

სიუ იენ ლინმა სურვილი გამოთქვა, ხარაგაულის ყოფილი „გამთიშველების ქარხნის“ ტერიტორიაზე, სადაც ხარაგაულის აბრეშუმის კოოპერატივის გახსნა იგეგმება, „საპარტნიორო ფონდის“ 49%—იანი წილობრივი მონაწილეობით, შენობა გაარემონტონ. პირველ ეტაპზე ხარაგაულში წარმოებულ აბრეშუმის ძაფს ბიზნესმენი, ჯიმშერ ჩხაიძე, ჩაიბარებს.

დარეჯან სამხარაძე (გია დევდარიანის მეუღლე): „ივლისში 40 გრამი აბრეშუმის ჭიის გრენი გადმოგვცეს. აბრეშუმის მოვლა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი იმედები გამართლდება და ხარაგაულში აბრეშუმის წარმოება განვითარდება.“

გია დევდარიანის ოჯახში აბრეშუმის წარმოება მოინახულეს ასევე ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, ბონდო კიკნაველიძემ და იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსმა, რუსუდან ძიძიშვილმა.

ხარაგაულის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ბონდო კიკნაველიძე, განმარტავს, რომ ამ საქმის წამოწყებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს და გამგებლის მრჩეველს სოფლის მეურნეობის საკითხებში,მურმან არჯევანიძეს.

„რაც შეეხება რუსუდან ძიძიშვილს, იგი თავად დაინტერესდა საკითხით და, საჭიროების შემთხვევაში, ყოველგვარი დახმარება და შუამდგომლობა აღგვითქვა ზემდგომ ორგანოებთან. ვფიქრობ, საზოგადოებაში დაინტერესება კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.“ - განაცხადა ბონდო კიკნაველიძემ.

მანანა ბაბლიძე
მთავარი სპეციალისტი
საზოგადოებასთან
ურთიერთობის საკითხებში

ხარაგაულში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი იანვრიდან დღემდე 265 პიროვნებას მიენიჭა

8 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდა.

საბჭომ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუნისში, ფონასა და გოლათუბანში მცხოვრები მოქალაქეების ინდივიდუალური განცხადება - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებს საბჭოს გადაწყვეტილებით დადებითი რეკომენდაცია გაეწიათ.

2016 წლის პირველი იანვრიდან დღემდე, ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი 265 პიროვნებას უკვე მიენიჭა, ხოლო ივლისის თვის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით მაღალმთიანთა მცხოვრების სტატუსის მინიჭებისთვის რეკომენდაცია დამატებით 36 მოქალაქეს გაეწია. (იანვრიდან დღემდე სულ 328 მოქალაქეს გაეწია საბჭოს მიერ დადებითი რეკომენდაცია).

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭათ წიფაში მცხოვრებ: ლალი სულაქველიძეს, შალვა ბანცაძეს, ნიკოლოზ ღამბაშიძეს, ნელი კაპანაძეს, ჯამბულ ჩიტაძეს, მარიამ ბარბაქაძეს, გელა ნადირაშვილს, ბელა ჯანიაშვილს, მარინე ტაგანაშვილს, გურამ ტაგანაშვილს, ლაშა ტაგანაშვილს, მამუკა ტაგანაშვილს, ვაჟა ქურდაძეს, თინა ნოზაძეს, დავით ქურდაძეს, რუსიკო ტაგანაშვილს, ტრისტან ხაჩიძეს, გუგულა ბანცაძეს, ზაზა ლომსაძეს, მერაბ გაჩეჩილაძეს, ნაზი ბანცაძეს, ნონა კომლაძეს, ფიქრია ბანცაძეს, შოთა ბანცაძეს, ლევან გაჩეჩილაძეს.

გოლათუბანში მცხოვრებ: ელენე თორღვაშვილს, მერაბ ტაგანაშვილს, ლეილა ტაგანაშვილს, გიორგი ღონღაძეს, გელა ღონღაძეს.

გუდათუბანში მცხოვრებ: სულხან გუდაძეს, ქეთევან გუდაძეს, ამალია გუდაძეს, შამილ გუდაძეს, მარინა ბანცაძეს, ჟუჟუნა გუდაძეს.

სკოლებში სასწავლო პროცესები 15 სექტემბერს განახლდება

2016-2017 სასწავლო წელს საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება. წელს ხარაგაულის საჯარო სკოლები 191 პირველკლასელს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე საჩუქრად სახელმძღვანელოებს მიიღებს, ხოლო პირველკლასელებს, ტრადიციისამებრ, გადაეცემათ პორტატული კომპიუტერები.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები ცნობილია

აბიტურიენტებისთვის 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები ცნობილია. ნაშრომები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდა. აბიტურიენტებს საკუთარი ქულის გაგება მოკლე ტექსტური შეტყობინებითაც შეეძლოთ. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, მაია მიმინოშვილი, აცხადებს, 2016 წლის ეროვნულ გამოცდებზე, ზოგად უნარებში ბარიერი აბიტურიენტების 16 %-მა ვერ გადალახა.

ჩარიცხული აბიტურიენტების სია გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აგვისტოს ბოლოს გახდება ცნობილი.

სოფელ ზვარეში სარკინიგზო გვირაბზე მომუშავე პირები გაუსაძლისი სამუშაო პირობების გამო გაიფიცნენ

სოფელ ზვარეში ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის გვირაბზე მომუშავე პირები გაიფიცნენ. ასამდე მუშამ გაუსაძლისი სამუშაო პირობების, უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და მოძველებული ტექნიკით მუშაობა გააპროტესტა. გაფიცულები ჩინურ კომპანიას სამუშაო პირობების დარღვევაში ადანაშაულებენ. მათივე განცხადებით, სამსახურიდან დაქირავებული მუშების უსამართლოდ დათხოვნას ხშირად აქვს ადგილი. დაქირავებული პერსონალის განმარტებით, მათ არ აქვთ უნიფორმა და სხვა დამცავი საშუალებები. ვერ სარგებლობენ სასმელი წყლით, არ არის სისუფთავე და არ მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც სამშენებლო ბაზაზე მდებარეობს, ბოქლომითაა ჩაკეტილი.

გელა ჩიტიაშვილი, რომელიც გვირაბის მშენებლობაზე თვენახევარია მძღოლად მუშაობს, აცხადებს, რომ გაუსაძლის პირობებში უწევთ მუშაობა.

„აფეთქებების დროს ისეთი მტვერი დგება, შეუძლებელია, რაიმე დაინახო, არადა აფეთქებიდან ორ წუთში გვიშვებენ გვირაბში სამუშაოდ. ამან, შესაძლოა, სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. ასევე გვიწევს გაუმართავი ავტომობილებით მოძრაობა. თუ ავტომობილი დაზიანდა, ამაზე ჯარიმას მძღოლს ახდევინებენ.“

ბატონი გელა შრომით ხელშეკრულებაზეც გვესაუბრა და აღნიშნა, რომ არც ერთი თანამშრომლისთვის არაა ცნობილი ხელშეკრულების არსი, რის საფუძველზე დავსაქმდით და რა უფლებები გვაქვს. გაფიცულების განმარტებით, შრომითი ხელშეკრულება იმდენად ვრცელი იყო, თანაც დიდი ნაწილი ჩინურ ენაზე, რომ მისი თარგმნისა და წაკითხვის დრო ნამდვილად არ იყო.

მუშებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წარმომადგენელი (მედიატორი), ლევან ჟორჟოლიანი, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსპექტორი, ირაკლი იობიძე, საქართველოს რკინიგზის პროფკავშირების ხელმძღვანელი ვიტალი გიორგაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით დევდარიანი, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ.

შრომის ინსპექტორი, ირაკლი იობიძე, არსებულ პრობლემებს ადგილზე გაეცნო. როგორც მან აღნიშნა შრომის ინსპექციის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა ზარი, რომ ადგილი ჰქონდა შრომით ექსპლუატაციას. იობიძის განმარტებით, ინსპექციაში შრომის უფლებების დარღვევის შესახებ წერილიცაა შემოსული. გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული მუშების უფლებების დასაცავად ისინი ზვარეში მინისტრის ბრძანებით ჩავიდნენ და დეტალურად შეისწავლეს ყველა პრობლემა, რომელიც გაფიცულ მუშათა მხრიდან იყო წამოყენებული.

გაფიცულებსა და დამსაქმებელ ჩინურ კომპანიას შორის მოლაპარაკებების პროცესში ჩართულია ადგილობრივი თვითმმართველობა. გამგებლის მოადგილის, დავით დევდარიანის, თქმით, გამგეობა დაუკავშირდა კომპანიის წარმომადგენლებს, ასევე მოლაპარაკებები აწარმოა დაზარალებულ პირებთან.

საპროტესტო აქციის დაწყებიდან საქმის ვითარებას არკვევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წარმომადგენელი (მედიატორი), ლევან ჟორჟოლიანი. მისივე ინფორმაციით, დაქირავებული პერსონალი 21 დღის განმავლობაში დაუბრუნდა სამუშაო პროცესს. „თუ 21 დღის ვადაში არ მოხდება მათი მოთხოვნების გათვალისწინება, ამ შემთხვევაში დასაქმებულები გადავლენ კანონიერად გაფიცვის ფაზაში. ვფიქრობ, აღნიშნულ დროში შევძლებთ პრობლემის მოგვარებას, რადგან ჩინური კომპანიის წარმომადგენლები მზად არიან, მოლაპარაკებების პროცესში ჩაერთონ. ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუშების მოთხოვნებს ეტაპობრივად გაითვალისწინებენ. რადგან ჩინურ კომპანიას საქართველოს რკინიგზის მიმართ აქვს თავისი ვალდებულებები და მათი საქმიანობა დროშია გაწერილი, ამიტომ მათთვის მიუღებელია მსგავსი საპროტესტო აქციები. რადგან ეს მათ მუშაობას აფერხებს,“ - განაცხადა ჟორჟოლიანმა.

ჩვენთან საუბრისას ბატონმა ლევანმა 17 აგვისტოს ჩანიშნული შეხვედრა დაანონსა. შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩინური კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან, ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო გვირაბის ზვარის მონაკვეთზე მომუშავე პირებთან და იურისტებთან შედგება. მოლაპარაკება იქნება კანონშესაბამისი და გადაწყვეტილება ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიიღება.

სარკინიგზო გვირაბზე მომუშავე პირების განმარტებით, ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი აქციაა. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მუშები პროტესტის ახალი ტალღის დაწყებას არ გამორიცხავენ.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12